საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1702

29/12/2021

ქ. თბილისი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირში შპს „ემარის“ განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირში შპს „ემარის“ განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N65 (22.12.2021);
2. შპს „ემარი“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N65 (22.12.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ემარს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ემარის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი